პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 პარასკევი 16 სექტემბერი № 217 (16957) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ერთა აყვავებისა და დაახლოების გზით

ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ ჩვენი ქვეყნის ხალხები აღსავსე არიან შემოქმედებითი ძალებით, ენერგიითა და optიმიზმით. ახლა განსაკუთრებით მტკიცე და მონოლითურია მათი შეხმატკბილებული ოჯახი. ერთსულოვნად და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დირსეულად, ახალი მიღწევებით შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვან იუბილეს.

მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს კიდევ უფრო აკავშირებს და აღფრთოვანებს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. თანამედროვეობის ამ თვალსაჩინო პოლიტიკურ დოკუმენტში ბრწყინვალედ არის ხორცშესხმული სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეები. მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის წარმატებით განვითარება ლენინური პარტიის ბრძნული და შორსმჭვრეტელური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფია, სოციალიზმის დიადი მონაპოვარია. როგორც ნათქვამია „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ჩვენში უზრუნველყოფილია ყველა ერისა და ეროვნების ფაქტიური თანასწორობა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, დამკვიდრდა ეროვნების მიუხედავად მშრომელი ადამიანების ჭეშმარიტი ძმობა, საერთო ძირეული ინტერესებით და მიზნებით, მარქსიტულ-ლენინური იდეოლოგიით შეიდულებებული ძმობა. სწორედ ასეთ საფუძველზე შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

ერთა არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტიური თანასწორობა უწინარეს ყოვლისა ნიშნავს, რომ ყველა ჩვენმა რესპუბლიკამ, მათ შორის იმ რესპუბლიკებმაც, რომლებიც წინათ ჩამორჩებოდნენ ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით, განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს. 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილ დროში დიდი, პრინციპული ცვლილებები მოხდა, რომლებმაც სახე უცვალა მათ. მაგალითად, უზბეკეთის წინათ უდაბურ ველებში აშენდა ათობით ახალი სოციალისტური ქალაქი და გადაეჭიმა ბარაქიანი ხოდაბუნები, შეიქმნა მძლავრი საწარმოო-ტექნიკურიული კომპლექსები, რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცეს სამეურნეო ბრუნვაში მოგვექცია უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები, საფუძველი ჩაეყარა და წარმატებით ვითარდება ინდუსტრიის ყველაზე პროგრესული დარგები. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოება მიმდინარე წლის დამდეგისათვის 1940 წელთან შედარებით 27-ჯერ გაიზარდა. ამავე პერიოდში ბელორუსიის სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 22-ჯერ, ყირგიზეთისა — 30-ჯერ, სომხეთისა — 33-ჯერ, მოლდაველისა — 41-ჯერ. განვითარებული მრავალდარგოვანი ეკონომიკითა და მაღალი კულტურით გამოირჩევა ახლა ყველა რესპუბლიკა.

ჭვეყანაში შექმნილი ერთიანი ხახალხო-სამეურნეო კომპლექსი მტკიცე ბაზას უქმნის ხაბჭოთა ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობას. სკკპ XXV ყრილობამ განსაზღვრა მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი. მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვნად განმტკიცდება მოკავშირე რესპუბლიკებისა და რაიონების ეკონომიკური კავშირურთიერთობა, გაიზრდება შრომის ტერიტორიული დანაწილების ეფექტიანობა, გადიდდება თითოეული რესპუბლიკის წვლილი საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის ამოცანების განხორციელებაში.

პარტიული ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება მთავარია ჭვეყნის ყველა ერისა და ეროვნების, ყველა ჩვენი რესპუბლიკის საერთო ხაქმეში. თითოეულ მათგანს შეაჭვს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი ხაბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში, დღენიადაგ გრძნობს სხვა რესპუბლიკების ძმურ მხარდაჭერას თავისი საწარმოო ძალების განვითარებაში. ხალხთა ერთობლივი აღმშენებლობითი შრომისა და ურთიერთდახმარების ცოცხალი მაგალითი გახდა ისეთი გიგანტური მშენებლობანი, როგორიც არის ბაიკალ-ამურის მაგისტრალი, კამის ავტოკომბინატი, ორენბურგ-სსრ კავშირის დასავლეთი ხაზღვრის გაწსაღენი, შუა აზიაში უდიდესი ნურეკის ჰიდროელექტროსადგური, ხადაც შრომობენ ორმოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები.

ერთიან ეკონომიკურ საფუძველზე განუხრელად მტკიცდება და ღრმავდება სოციალისტურ ერთა სულიერი კავშირურთიერთობა. მათი კულტურების ურთიერთგავლენა და გამდიდრება კანონზომიერი პროცესია, რომელიც კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო აქტიური ხდება. ამას ბევრად უწყობს ხელს სსრ კავშირის ხალხთა მეცნიერული აზრისა და მხატვრული შემოქმედების მიღწევების პროპაგანდის ხხვადასხვა ფორმა, მათ შორის მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურისა და ხელოვნების ტრადიციული კვირეულები და დეკადები.

ხაბჭოთა ადამიანებს ახარებთ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფი, ცხოვრების ყველა ხფეროში მისი თანამიმდევრული განხორციელების შესანიშნავი შედეგები. ამ პოლიტიკის ღრმად განმარტებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მშრომელებს ჩავუნერგოთ და განვუვითაროთ ინტერნაციონალური შეგნება, ერთიანი ოჯახის კეთილშობილური გრძნობები. ჩვენი პარტია დღენიადაგ ზრუნავს პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ხაშუალებებისა და მეთოდების სრულყოფისათვის, განსაკუთრებით ახლა, ხაბჭოეთის ხახელოვანი იუბილეხათვის მზადების პერიოდში. დიდ ხაზოგადოებრივ ინტერესს იწვევს სსრ კავშირის ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოკავშირე რესპუბლიკების დღეები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება. ისინი გვიჩვენებენ კომუნიზმის მშენებლობის ნამდვილ ეროვნულ-ინტერნაციონალურ ბუნებას, ამ ბრძოლაში. კანონიერი პატრიოტული სიამაყის გრძნობით ავსებს ჩვენ ყველა ერს ეროვნებას ამ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ეროვნული ენა, ეროვნული ფერი, ეროვნული ხასიათი, ეროვნული ფერი, ეროვნული ხასიათი, ეროვნული ფერი, ეროვნული ხასიათი

ჩვენი ცხოვრების კირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

საუბარი რედაქციის მრგვალ მაგიდასთან

მრავალი კარგი ღონისძიების ინიციატორია ფოთის საქალაქო „ზეთი „ახალი კოლხეთი“. შემოქედებითი კოლექტივი ცდილობს უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს გაზეთი. რისთვისაც იყენებს სხვადასხვა საგაზეთო ჟანრს, ხშირად აწყობს მკითხველთა კონფერენციებს, შეხვედრებს, საუბრებს.... იგი მკითხველთა გულისხმიერი მრჩეველი და დამრიგებელია.

კარგ ტრადიციად იქცა ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების შეხვედრები და საქმიანი, გულახდილი სალაპარაკო რედაქციის მრგვალ მაგიდასთან. აქ მსჯელობენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებზე, მნიშვნელოვან მოვლენებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე, რაც დიდად უწყობს ხელს ქალაქის ეკონომიკისა და კულტურის წინსვლას, სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ამჯერად რედაქციის მრგვალ მაგიდასთან შეიკრიბნენ ქალაქის მშრომელ ქალთა წარმომადგენლები, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები — ექიმები, ინჟინრები, პედაგოგები, საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, სამამულო ომის ვეტერანები... ისინი მოვიდნენ, რათა ერთხელ კიდევ განიხილონ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, თავიანთი ხმა შეუერთონ მილიონობით საბჭოთა ადამიანის ხმას.

ისინი მსჯელობენ, მუხლობრივად და პუნქტობრივად იხილავენ და იწონებენ ჩვენი ცხოვრების ციად ქარტიას, შენი-შენებსა და წინადადებებს გამოთქვამენ ამ ფრიად პოლიტიკური დოკუმენტის კიდევ უფრო სრულყოფისათვის.

გთავაზობთ საუბრის მოკლე ჩანაწერს:

ლ. აბუშევა — სახალხო მოსამართლე: ახალი კონსტიტუციის პროექტში მთელი თავი აქვს დათმობილი საბჭოთა მართლმსაჯულებას. 154-ე მუხლში ხაზგასმულია: „მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან“. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მართლმსაჯულების მსახურთ. ჩვენი სინდისისა და ღირსების სამშობლო ზუსტად დაეცვათ კონსტიტუციის მოთხოვნები, სწორად განახორციელოთ საბჭოთა კანონი. უკანასკნელ ხანს ჩვენს ქალაქში გაძლიერდა ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, არც შედეგებია ურიგო: მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ ვხვდებით დარღვევებს, დამახინჯებებს, ხულიგნობის ფაქტებს, ლოთობის შემთხვევებს. ამ საკალაო დარღვევათა აღმოფხვრაში დიდია ჩვენი როლი. შევეცდებით ისე ვიმუშაოთ, როგორც ამას ახალი კონსტიტუცია მოითხოვს.

თ. კალიანი-თურაძია — ექიმი სტომატოლოგი: კონსტიტუციის პროექტის 42-ე მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება“... ამ უფლების უზრუნველყოფა კი დიდად არის დამოკიდებული ჩვენზე, შედიცინის მუშაკებზე, როშელებსაც გვაკისრია ყველაზე ძვირფასი კაპიტალის—მშრომელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა. წაიკითხავთ კონსტიტუციის პროექტს და უსათუოდ დაგვამდათ სურვილი, რომ კიდევ ერთხელ გადავხედოთ ჩვენი ქალაქის წარსულს. მაგონდება მალარიითა და სხვა დაავადებებით გათანგული ქალაქი... რაოდენ ბევრი რამ გაკეთდა სამედიცინო სამსახურის განვითარებისათვის, კიდევ რამდენი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენი სამედიცინო დარგის მუშაკების ვალია განუხრელად განახორციელოთ ახალი კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლება...

ნ. ჭეონია — სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი: დიდ შრომითს და პოლიტიკურ ვითარებაში ცხოვრობენ ჩვენი ფაბრიკის მუშები ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტს, რომელიც მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა. მისი თითოეული მუხლი მოწმობს, თუ რა ბევრი რამ გაკეთდა ხალხის ბედნიერებისათვის. ჩვენი განსაკუთრებული დიდი ინტერესი გამოიწვია პროექტის მე-7 თავმა: — „სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი“. — ჩვენთან, ფაბრიკაში, ძირითადად ქალები მუშაობენ. მათი უპირველესი მოვალეობა კი შვილების აღზრდაა. როგორ ... ეს ... ...

საქართველოს ჟურნალისტთა
კავშირი

საბჭოთა ჟურნალისტთა ამოცანები

15 სექტემბერს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი. რომელშიც განიხილა საქართველოს ჟურნალისტთა აქტიური ამოცანები პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მეტიზებულ, ტელევიზიისა და რადიოს გადაღებებში ამ საკითხთა გაშუქების საქმეში. რომლებიც დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავთან, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასთან.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. ენგიბაძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მ. დავითაშვილი, გაზეთ „სოფიტაკან ჯრალანის“ რედაქტორი ა. ბერძენიანი, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ განყოფილების გამგე ა. ფრიდმანი, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოადგილე ვ. მაისურაძე, ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ რედაქტორი ი. კრავცოვი, გაზეთ „ოთხნი ყაფშის“ რედაქტორი ს. კვიციანია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ოპერატიული ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი ლ. კიკვიძე, გაზეთ „მოლოდოო ბოროზის“ განყოფილების გამგე ი. მოზრანელი, გაზეთ „თბილისის“ კორესპონდენტი ა. შინგელია, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგე ს. კაკურიძე, ხაშურის რაიონული გაზეთის „გამარჯვების ზარის“ რედაქტორი ს. ძინძიბაძე, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ განყოფილების გამგე ნ. მგელაძე.

განხილულ საკითხზე მიღებული შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი. სხვა საკუთარზე გადასულასთან დაკავშირებით ჟ. ბუსიტაშვილი გაათავისუფლა ჟურნალისტთა კავშირის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივნად არჩეულია ს. ხელაძე.

(საქინფორმი).

სწავლოგენ საბჭოთა მუშაკები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან გაიხსნა პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი მოღვაწეთა ერთთვიანი კურსები.

მეცადინეობას შეუდგნენ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეები.

მსმენელები ერთი თვის განმავლობაში შეისწავლიან კომუნისტური მშენებლობის მარქსისტ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის, თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკური მოდგაწეობის, თანამედროვე მსოფლიო რეგიონალური პროცესისა და სხვა აქტუალური პრობლემების.

მსმენელებს ოკითხავენ ლექციების სპეციალურ კურსს ნგენი ადამიანების ძირითად კანონზე — სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტზე, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტიდან გამომდინარე პრობლემებზე.

პრაქტიკული მეცადინეობების დროს შეისწავლიან საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ახალ ფორმებს.

მსმენელები გაეცნობიან სამრეწველო საწარმოებში, გიორგიანებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

(საქინფორმი).

500 ათასი ტონა ყურძნისათვის!

ავტომძღოლები გვრებში

კახეთში რთველი დღითიდღე უფრო ჩქარ ხდება. ახლა მარეფავებთან ერთად მძღოლებსაც დიდი ჯაფა ადგათ. რესპუბლიკის რომელი სამეურნეროსა თუ უწყებას ავტოტრანსპორტს არ შეუშვებთ ამ დღეებში კახეთის ზეირებში და გზებზე!

გურჯაანისა და ყვარლის რაიონებს მოლაბადად საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობები იმსახურებიან. ისინი მეკანიკოზებთან ერთად ადრე დილადან ვაზის დამიმდე მუხლ-ბაუხრელად შრომობენ.

ერთი რამ თვალნათლივ ჩანს: ადგილობრივი და მოვლინებული მძღოლები ერთმეორის გულადგულ ეკიპაჟებად გარდამავალი დროშებისათვის, დაწესებული ფეოლური პრემიებისათვის ბრძოლაში, მაგრამ ბოლოს კიდევ შეგობრებად რჩებიან, სათუოდ ეფერთხლილებენ სტუმარ-მასპინძლის დაუწერელ კანონს.

დაკისრებული მოვალეობის პირნათლად და მაღალხარისხოვნად შესრულების ნიმუშად შეიძლება ჩათვალოს გურჯაანის საბჭოთა მეურნეობაში მოვლინებული ქუთაისის „2653 ავტოკოლონის“ საქმიანობა. აქ ნახავთ ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერს ნოდარ მესხს, შრომის მოწინავეებს ს. თარხანიძეს, კ. ლომიძეს, შ. ჭორიძეს, პ. ქობულაძეს. მეკანიკოსი ყურადღებით გარემოსილი ავტომძღოლების გურჯაანელთა რეალური სასხვისო საქმედ კი არ მიიჩნიეთ, არამედ თავი მაღალი მოსავლის მიღების უშუალო მოწმეებად წარმოუდგენიათ. ჭიტრომ არის, რომ, თუ, მაგალითად, ჯუშინ მეურნეობის გარდაბანელი დროშა ადგილობრივი მძღოლის ავტომანქანაზე ფრიალებდა, დღეს იგი მიღებულ ავტომობილს ამშვენებს.

საუკეთესოდ მუშაობენ ჩიმღოყის, ვილისციხის კოლმეურნეობებსა და კალაურის საბჭოთა მეურნეობაში მიღებული ავტომძღოლები დ. ჭონიაშვილი, ი. ეპიტაშვილი, კ. ყურაშვილი, ნ. ციხაკაია, გ. გელავა, ა. პაპავა, ვ. ალა, რ. პაპუკაშვილი, ნ. პაპლიაშვილი, გ. ლოლაშვილი. ისინი დღიურ დავალებებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

გურჯაანისა და ყვარლის რაიონებში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 360 ავტომანქანა მუშაობს, რომელთაგან 300 მარტო გურჯაანის რაიონშია.

ავტომეურნეობათა ნაყოფიერ, ჩქარმაზომიერ, სწორ ექსპლოატაციას და უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფენ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სახაზო კონტროლისა და მოძრაობის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსის მოადგილე შ. ჩაჩხუნაშვილი და ამავე სამმართველოს ინჟინერი რ. ციანავა, რომლებიც რთველის ბოლომდე მიღებული ბრიან გურჯაანისა და ყვარლის რაიონებში.

დ. ლაფაჩიშვილი,
„კომუნისტის“ კორ.

ქართული ფილმის წარმატება

ლენინგრადში დაიშვა სატელევიზიო ფილმების საკავშირო ფესტივალის ალმა. იგ ფესტივალი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ნიშნით მიმდინარეობდა. წარმატებული იყო ფესტივალის და შემოქმედებითი ძიებისათვის ფესტივალის სპეციალური პრიზი მიენიჭა ქართველი რეჟისორის „ს. ჩხაიძის მრავალსერიანან სატელევიზიო მხატვრული ფილმს „თეშ მეცხვარეს“. ეთორმ აღნიშნა ავტორეთვე ი. ონოფრიშვილის „კარგი ოპერატორული ნამუშევარი.

ფილმი, რომელიც ეძღვნება თეშვითის მეცხვარეთა ცხოვრებასა და ყოველდღიურ ჰერიო

სკოლის ახალმოსახლეობა

პირველ სექტემბერს კარგი ხაზუჭარი მიიღეს გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს ლეცავის მოსწავლეებმა — მწყობრში ჩადგა საშუალო სკოლის ახალი შენობა.

ახალ სკოლაში სასწავლო წლის დაწყებისას მერხებს 260 გოგონა და ბიჭუნა მიუჯდა. ფართო, ნათელი დერეფნები, საკლასო ოთახები, ფიზიკის, ქიმიის კაბინეტები, ბიბლიოთეკა — ყველაფერი ეს ახალი თაობის სამსახურშია.

ხურათზე: გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს ლეცავის საშუალო სკოლის შენობა.
ი. პოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წიგნი მშვიდობის მოციქულია

საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე მოსკოვში

მოსფილმს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა გახდა მოსკოვში გამართული საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა. 60-ზე მეტი სახელმწიფოს 1300-მდე ფირმამ გამოგზავნა თავისი პროდუქცია. გამოფენა-ბაზრობის დევიზს — „წიგნი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“ — მხურვალედ გამოეხმაურა ყველა, ვინც წიგნის, კაცობრიობის ამ უდიდესი საუნჯის, საშუალებით ცდილობს განამტკიცოს და განავითაროს ხალხთა ურთიერთგაგება.

დასავლეთში ზოგ-ზოგგან არ მოეწონათ მოსკოვის გამოფენა-ბაზრობის დევიზი. ამ ბოლო თვეებში ბურჟუაზიული გაზეთები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, აჩიოქებდნენ ლეგიონერთა კამპანიას და ცდილობდნენ ჩაეშალათ გამოფენა. მაგრამ მის სტენდებზე დღეს ჩვენ ვხედავთ დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების წიგნებს. კაპიტალისტური ქვეყნებიდან უდიდესი მონაწილეა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის 193 კონცერნმა და ფირმამ წარმოადგინა წიგნები. ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილებაში უურადღებას იპყრობს 49 უნივერსიტეტის ქვეყნიდან უდიდესი მონაწილეა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის 193 კონცერნმა და ფირმამ წარმოადგინა წიგნები. ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილებაში უურადღებას იპყრობს 49 უნივერსიტეტის ქვეყნიდან უდიდესი მონაწილეა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომლის 193 კონცერნმა და ფირმამ წარმოადგინა წიგნები. ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილებაში

ესაბამება სრულიად ევრობის თანამედროვე საბოლოო აქტს, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს წიგნის საშუალებით საერთაშორისო მეცნიერულ და კულტურულ გაცვლას. საბჭოთა კავშირში თანაბიმდეგრულად ხორციელდება ეს მორგებანი, რაც ამხნაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საყაროდ გამოაცხადა 1976 წლის 29 ივნისს ევროპას კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციაზე: „ჭელსინკის თათბირის საბოლოო აქტის შესაბამისად ჩვენ მივმართეთ დამატებითს ღონისძიებებს წიგნების, ფილმების, ხელოვნების ნაწარმოებების გაცვლის გადიდებისათვის...“

საბჭოთა ლიტერატურა გამოფენაზე ჩვენი ქვეყნის ხალხთა ყველა ენაზეა წარმოდგენილი. თითოეული რესპუბლიკას აქვს თავისი ექსპოზიცია.

ქართული ექსპოზიციის დირექტორმა, საქართველოს სსრ გამსახლკომის პროპაგანდისა და წიგნის ვაჭრობის განყოფილების გამგემ ლამარა ჯალაღანიამ გვითხრა, რომ საქართველოს გამომცემლობებმა 200-ზე მეტი დასახელების წიგნი გამოუხვეს. აქედან 30 გასაყიდად არის გათვალისწინებული. მოსკოვის წიგნის ფორუმს იმიტომაც ეწოდება გამოფენა-ბაზრობა, რომ მისი მონაწილენი ბითუმად ეაჭრობენ: ყიდულობენ მზა წიგნების ტირაჟებს, იძენენ ამორჩეულ გამოცემათა თარგმნის უფლებებს. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, მაგალითად, სთავაზობს შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას ფრანგულ და გერმანულ ენებზე, გამომცემლობა „განათლება“ — ქართულ ხალხურ ზღაპრებს, ვაჟა-ფშაველას და იაკობ გოგებაშვილის წიგნებს ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე, „შუშანიკის წამებას“ — ამავე ენებზე და ესპანურ ენაზე. გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ მომზადებული ლამაზი ალბომები, რომლებიც შეიცავს ტექსტებს ინგლისურ, ესპანურ და იტალიურ ენებზე, მკითხველს აცნობს ლადო გუდიაშვილის, ზურაბ წერეთლისა და ირაკლი ოჩიაურის, ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებას.

— ჩვენი მხრივ, — ამბობს ლ. ჯალაღანია, — ჩვენც შევეჩეკეთ სათარგმნ ნაწარმოებებს და უცხო ენებზე გამოცემულ მზა წიგნებს. „ბაზრობაზე გახსნილია „საქმიანი შეხვედრების კლუბი“, სადაც გამოფენის მონაწილენი შეძლებენ იმსჯელონ მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე, რომლებიც წიგნის გაცვლასა და კავშირურთიერთობის გაფართოებას უკავშირდება.

გათვალიერებთ ქართულ ექსპოზიციას. იგი მოამზადა „მერნის“ მხატვრულმა რედაქტორმა ალექსანდრე სარჩიმელიძემ. სხვა ექსპოზიციებისაგან განსხვავებით აქ დიდი სისადავეა — ყველაზე გაკრულია დიდი ფშაური ხალიჩა და რამდენიმე კერამიკული ვაზა დგას. მთელი ყურადღება წიგნებს ეთმობა.

...გამოფენაზე მეგობრული და საქმიანი ატმოსფერო სუფევს. გამოფენა-ბაზრობის მონაწილეთათვის შექმნილია ხელსაყრელი პირობები თავიანთი გამოცემების საჩვენებლად, კონტრაქტებისა და სავაჭრო გარიგებათა დასადებად.

ვ. ქაჯაია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ჩვენს გზებსა და გზაჯვარედინებზე

მივიწყებული სიახლე

გაზეთ „კომუნისტის“ 1975 წლის 6 აპრილს ნოემერში დაბეჭდა წერილი — „სიახლე გზებზე“, რომელიც საგზაო მოძრაობის წესებში შეტანილ დამატებებს და ცვლილებებს ეხებოდა, ძირითადად კი 1970 წლის შემდეგ გამოშვებული მხუბუქი ავტომობილების უსაფრთხოების ქამრებით აღჭურვას და მის პრაქტიკულად გამოყენებას. უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია როგორც მძღოლი, ასევე მგზავრები მიებან ქამრებით. მაგრამ მიუხედავად ამ წესისა, ჩვენს რესპუბლიკაში ეს მოთხოვნა არ სრულდება. სწორედ ამის თაობაზე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ბ. ბახტურიძე ესაუბრა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტომონსაქციის უფროსს ბ. ფოფხაძეს. აი რა თქვა მან:

— მიუხედავად იმისა, რომ 1973 წლისათვის საგზაო მოძრაობის წესებმა საკრძნობი ცვლილებები განიცადა, სატრანსპორტო საშუალებათა რიცხვის, მათი მოძრაობის ინტენსივობისა და დინამიკური მაჩვენებლების ძკვეთრმა ზრდამ დღის წესრიგში კვლავ დაიყენა მოძრაობის წესებში ხელახალი კორექტირებისა და დამატებების შეტანა, რაც ძალაშია 1975 წლის 1 აპრილიდან.

მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, ადამიანთა მსხვერპლი და დასახიჩრებანი, დიდია მატერიალური ზარალი. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ენალიზმა გვიჩვენა, რომ ავტომობილის შემთხვევაში მძღოლები და მგზავრები დაიღუპნენ ან მძიმედ დაშავდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ არ იყვნენ მიბმულნი

დღემდე არ სრულდება, რატომ?

უსაფრთხოების ქამრებით. სწორედ ამიტომ, გზებზე მოძრაობის წესების მეორე თავის მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში შეტანილია დამატება: „მძღოლი ვალდებულია: უსაფრთხოების ქამრებით აღჭურვილ სატრანსპორტო საშუალებათა ადგილიდან დაძვრამდე თავითონ მაუბას ქამრით და არ დაუშვას მგზავრთა გადაყვანა აღნიშნული ქამრების უქონლად“.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვისას მისაბმელი ქამრების გამოყენების აუცილებელი მოთხოვნა განაპირობა ჩვენი და საზღვარგარეთელი მეცნიერების გამოკვლევებმა: უსაფრთხოების ქამრების მარტო მსუბუქ ავტომობილებზე გამოყენებისას თითქმის ნახევარჯერ მცირდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში გარდაცვლილ და დაშავებულ მძღოლთა და მგზავრთა რიცხვი. აღნიშნული მეცნიერების გამოკვლევებით, რომლთაც შეისწავლეს 28 ათასი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დადგენილია, რომ საათში 90 კილომეტრამდე სიჩქარით ტრანსპორტის მოძრაობისას, ამ შემთხვევებში, როცა მძღოლები და მგზავრები მიბმული იყვნენ უსაფრთხოების ქამრებით, ავარიის შედეგად არც ერთი ადამიანი არ დაღუპულა.

როცა საქმე ეხებოდა ჩვენს რესპუბლიკაში ავტომობილებს — „გაზ-24“-ის, ყველა მოდიფიკაციის „ვოლგის“, და „მოსკვიჩის“, „ზაზ-966“-ის და „ზაზ-968“-ის უსაფრთხოების ქამრებით აღჭურვას, ყოველდღიური მოთხოვნისაგან თავს ვიკავებდით, რადგან საკმაო რაოდენობით არ იყო შემოზიდული უსაფრთხოების ქამრები, ახლა კი „საქავტოტექმომსახურების“ სადგურებში 40 ათასზე მეტი უსაფრთხოების ქამარია. ამასთანავე შეეახსენებთ ავტოსატრანსპორტო საწარმოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და ავტომობილების ინდივიდუალურ მფლობელებს, საკაც ზემოთ ჩამოთვლილი მარკის ავტომობილები აქვთ, რომ ზემდგომი ორგანიზაციის 1973 წლის 8 მარტის დადგენილების და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1975 წლის 10 ივლისის ბრძანების თანახმად საქართველოში 1977 წლის ბოლომდე ავტომობილები მთლიანად უნდა აღიჭურვოს უსაფრთხოების ქამრებით. ასე რომ 1978 წლის 1 იანვრიდან ჩამოთვლილი ავტომობილები, რომლებსაც უსაფრთხოების ქამრები არ აქვნებათ, საექსპლოატაციოდ არ დაიშვებიან.

ეს, რაკი შეეხებოდა ავტომობილების უსაფრთხოების ქამრებით აღჭურვას. ახლა კი შეგეხოთ მათს პრაქტიკულ გამოყენებას.

ამ ბოლო დროს, მსუბუქი ავტომობილების მიერ ნაწილი უკვე ქარხნიდან გამოდის საექსლოატაციოდ უსაფრთხოების ქამრებით, მაგრამ ბევრ მძღოლს რატომღაც არა სურს ისარგებლოს ამ ქამრებით და არც მგზავრს მიუთითებს მათი გამოყენებისათვის.

მძღოლისა და მგზავრების სიკვდილი, მძიმედ დაშავება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს ძირითადად ავტომობილის ნაწილებზე, სავზე, საქარე მინაზე ან ტორპედოზე მკერდის ან თავის მიჯახებით ხრის გამოწვეული, ამისგან კი მძღოლსა და მგზავრებს სწორედ უსაფრთხოების ქამრები იცავს.

თუ ზოგიერთს ყველაფერი ეს წარმოდგენილ მიეჩნია, შეეახსენებთ. რომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ოზურგეთელყოფაში წვრილმანი რამ საერთოდ არ არსებობს, სრულიად უმნიშვნელო შეცდომასაც შეიძლება მეტად დიდი უბედურება და გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს.

ფიზკულტურა და სპორტი

ევროპის თასებზე — მოკლედ

ბოკალი. დღეს პრაღაში იწყება ორწლიანი საერთაშორისო ტურნირი სამი გუნდის მონაწილეობით. ესენია ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის პროფესიონალური გუნდი „ცინცინატი სტინგერსი“. პრაღაში გაფრენის წინ სსრ კავშირის პირველი ნაკრები შეხვდა ქვეყნის მეორე გუნდს და გაიმარჯვა — 6:2.

კალათბურთი. გუშინ ბელგიაში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა ვაჟთა გუნდებს შორის. პირველობას ერთმანეთს შეეცილება კონტინენტის 12 უძლიერესი ნაკრები. საბჭოთა კალათბურთის ღირსებას ამჟამად დაიცავენ ვ. მილოსერდოვი, ვ. არზამასკოვი, ს. ბელოვი, ს. ერიომინი, ა. სალნიკოვი, მ. ქორქია, ა. ხარჩენკოვი, ა. მიშკინი, ვ. პეტრაკოვი, ვ. ტკაჩენკო, ვ. ყიგილია და ა. ბელოსტენნი.

პირველ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ავსტრიის გუნდი (101:59).

ძალოსნობა. ხვალ დასავლეთ გერმანიის ქალაქ შტუტგარტში იწყება მსოფლიოსა და ევროპის პირველობა, რომელიც 25 სექტემბრამდე გასტანს. ჩემპიონატი აღსანიშნავია იმით, რომ ფიცარნაგს მონრეალში გამარჯვების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა სახელგანთქმული ათლეტი ვასილი ალექსეევი, რომელმაც სულ ახლახან ორი ახალი მსოფლიო რეკორდით განაცვიფრა მსოფლიო.

ჰავანა. მოსკოველი ა. იუხუპოვი სათავეში ჩაუდგა იუნიორთა (ოც წლამდე ასაკის) მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილს. 9 ტურის შემდეგ მას 7,5 ქულა აქვს.

საფრანგეთში ქალაქ კანე-სიურ-მერში კი 17 წლამდე ასაკის ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაზე ლიდერობს ისლანდიელი არნასონი. მას 5,5 ქულა აქვს ექვსი შესაძლებლიდან.



ხურათზე: თბილისის „დინამოსა“ და მილანის „ინტერნაციონალეს“ შეხვედრის ერთი მომენტი.

საკლუნი-საკინფორმის ტელეფოტო.

ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთ არის

ყოველთვის, ყველა ასაკში!

გონებრივი შრომა და ფიზიკური ვარჯიში

ეკითხვაზე, თუ რა საშუალებები არსებობს მოხარული ინფარქტის თავიდან ასაცილებლად, ერთმა ცნობილმა ექიმმა ასე უპასუხა:

— მე მხოლოდ ინფარქტს კაჩესის სამი უკეთესი ხერხი ვიცი: ემოძრაობა, ემოძრაობა და ემოძრაობა...

მართლაც რომ, მოსწრებულად არის ნათქვამი.

მაგრდება ხალხური ანდაზა: ახალგაზრდობა ისე მიდის, ჩვენ არ ვიკითხებით, ხოლო სიბერე ისე მოდის, ჩვენ არ გვკითხავენ.

საწამ ახალგაზრდული ჯან-ღონე მოგვყვება, ემოძრაობთ, ვშრომობთ, ვგარჯიშობთ, შემდეგ კი თითქოს თვითდინებას მივყვებით და ვდუნდებით. სიცოცხლის მეორე ნახევარში ხანდაზმულთა დიდი ნაწილი ზედმეტად უფრთხილდება ორგანიზმს, ერიდება ყოველგვარ დატვირთვას, ზედმეტი ნაბიჯის გადადგმას, ფიზიკურ შრომას, ის კი არ იცის, რომ ამით მხოლოდ ზიანი მოაქვს საკუთარი თავისთვის.

მეცნიერთა გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ ფიზიკური ვარჯიში შეიძლება ზოგადთვის, ყველგან და ყველა ასაკში. კიდევ მეტი, დღეს ფიზიკური ვარჯიშით ჭკონავენ ისეთ რთულ დაავადებებს, როგორიც არის გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის, სახსრების, სასუნთქი გზების დაავადებანი და სხვ.

აკადემიკოსი ვ. ჩაკლინი თვლის, რომ 40 წლის შემდეგ იწყება ხერხემლის მალების შეა ხრტილოვანი წარმონაქმნების გაზვეება და მუცლის პრესის ელასტიკურობის დაქვეთება, რასაც ის სიბერის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თვლის.

აკადემიკოს დ. ჩებოტარიოვის კლინიკაში დაკვირვება ჩატარდა 80 წელს გადაცილებულ 28 ათას ადამიანს. ამას გარდა მოსკოვსა და ლენინგრადში ექსპერიმენტები ჩატარეს 400 მეცნიერ მუშაზე. რომელთა საშუალო ასაკი 60-65 წელს აღწევდა. და აი აკადემიკოსი ასკვნის, რომ ხანგრძლივი სიცოცხლისათვის აუცილებელია შრომითი (ფიზიკური) საქმიანობის ადრე დაწყება და ყვიან დამთავრება, ეგრეთვე ღღისა და ყვების რაციონალური რეჟიმი.

დამტკიცებულია, რომ თუნდაც ხანმოკლე უმოძრაობა უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე, განსაკუთრებით თავის ტვინის ქერქზე და ნერვულ-რეფლექტორულ კავშირებზე.

მორის კრეუფორდისა და აკადემიკოს ე. ზელენინის გამოკვლევით 55 წლის ასაკში უმოძრაო პროფესიის ადამიანთა საშუალოდ 44 პროცენტი იღუნება ინფარქტით, ხოლო ამავე ასაკის იმ ადამიანთა რიცხვის, ვინც ფიზიკურ შრომას ეწევა, მხოლოდ 24 პროცენტი.

მოსკოვის უნივერსიტეტში ასეთი ცდა ჩაატარეს — მოიყვანეს ორი თანაბარი სიძლიერის ჯგუფი. ორიდე ჯგუფს ერთნაირი მათემატიკური ამოცანები მისცეს ამოსახსნელად. ერთ ჯგუფს ამოხსნის პერიოდში თავისუფალ მოძრაობის საშუალება ჰქონდა. მეორეს კი — არა.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ამ ჯგუფმა, რომელიც შეზღუდული არ იყო მოძრაობაში, გაცილებით უკეთ და სწრაფად ამოხსნა დავალება. როდესაც ჯგუფებს როლები შეუცვალეს, იგივე სურათი განმეორდა.

ეს პატარა ფაქტი ნათლად მეტყველებს გონებრივი შრომისა და ფიზიკური ვარჯიშების შეხამების აუცილებლობაზე.

მაინც რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის, რომ გავუმჯობესოთ ჯანმრთელობა და გავიხანგრძლივოთ სიცოცხლე?

რით დავწყოთ, რა ხერხს მივმართოთ?

დიდი არათერი — ყოველდღე საკუთარი თავის კეთილდღეობას დაეუფლოთ დასაწყისისათვის თუნდაც 20-30 წუთი.

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, 20 წუთი რას მოგვცემს, ან რადა დროს ჩემი ვარჯიშიაო, მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, უდავოდ ცდება.

საქმე ის არის, რომ ხანგრძლივად ერთსა და იმავე მდგომარეობაში უძრავად ყოფნა სისხლის მიმოქცევას ფერხდებს, ეს უანასკნელი კი თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე, რის გამოც ადამიანის თავის ტვინი და სხვა ორგანოები გაციდებით ნაკლებ საყუთათო ნივთიერებას იღებს.

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის თქმით, გადაღლას ფარმაკოლოგიური საშუალებანი ვერ შველის. მისი აზრით, გონებრივი შრომითი გადაღლისას კარგია ფიზიკური ვარჯიშები, ან ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადასვლა.

განსაკუთრებით კარგია ისეთ საქმიანობაზე გადასვლა, რომელსაც თან ახლავს ემოციური განცდები: ასე, მაგალითად, ა. აინშტაინი ძლიერი გადაღლისას ფორტეპიანოზე დაკრით ისვენებდა. ფიზიკური ვარჯიშების დოზა ძალი ფრსენალიდან შეიძლება გადა და სხვ. ეს ვარჯიშები მისაწვდომია ყველასთვის, ყველა ასაკში და ყოველთვის.

დამტკიცებულია, რომ გონებრივი შრომით გადაღლისას აღდგენითს პროცესს გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ფიზიკური შრომით გადაღლისას. ამიტომ აუცილებელია ფიზიკური ვარჯიშების ზემოქმედების გამოყენება გადაღლილი ორგანიზმის შრომისუნარიანობის სწრაფად აღსადგენად.

მთელ რიგ ქვეყნებში ფართოდ იყენებენ სუნთქვითს ვარჯიშებს. იაპონელი მეცნიერების გამოკვლევით, ჰიპერტონიული ავადმყოფობა გაცილებით ნაკლებია აღმოსავლეთის ქვეყნებში — იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში. აქას ისინი აღმოსავლეთში სუნთქვითი ვარჯიშების პოპულარობას მიაწერენ.

ემპირიულ კანტმა, რომელიც 99 წლისა გარდაიცვალა, თავის ერთ-ერთ წიგნში დიდი თავი მიუძღვნა სუნთქვითი ვარჯიშებით მკურნალობას. თვითონ კი 50 წელიწადს სუნთქვითს ვარჯიშებს იყენებდა.

სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ბოლო ხანებში ფიზიკური ვარჯიშებით დაინტერესებულ ხანდაზმულ პირთა რაოდენობა ჩვენშიც დღითი დღე იზრდება.

დღეს ფიზიკურ კულტურას ბევრი მიმდევარი ჰყავს, მაგრამ ყველამ რადი იცის, რომ ის, რაც ერთისათვის მიზანშეწონილია, მეორისათვის მან შეიძლება საზიანოდ მოქმედებ. ასევე საზიანოდ შეიძლება ინდივიდუალური მიდგომა, ორგანიზმის თავისებურებათა, ასაკის, პროფესიისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინება.

აუცილებელია წინასწარ იქნას ეჩვენთნო. სამწუხაროდ, ამ გარემოებას ზოგი ნაკლებ უურადღებას უთმობს. ზშირად ვიგინებავს ხანდაზმულები, რომლებიც სხვისი მიბაძვით, უშუალოდ სირბილით იწყებენ ვარჯიშს. ეს, რა თქმა უნდა, ყოველდა დაუშვებელია.

ზომიერების გრძნობა ყოველთვის უნდა დავიცვათ. ვარჯიში მხოლოდ სიამოვნებას უნდა გვგვრძდეს და იმნიშვნელო გადაღლას შემთხვევაშივე შეგაწყვეტოთ.

მაშ, ასე, გულს ნუ გაიტეხთ, გვიან არასდროს არ არის, დაიწყეთ ვარჯიში და სულ მოკლე ხანში საკუთარ თავს ვერ იცნობთ.

გ. უირმელაშვილი,
დოცენტი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ტელევიზია

16 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.30 — „გაკვეთილ ჩვენთან ერთად, ჩვენსავით და უცხოსად“. (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 11.30 — საქალაქოთაშორისო დოკუმენტური ფილმი „მიიღენა“, 12.30 — საქალაქოთაშორისო მხატვრული ფილმი „დურგლის ნაამბობი“, 17.00 — საქალაქოთაშორისო დოკუმენტური ფილმები „მდიდარი“ და „სინათლის სათავესთან“. (ფერადი), 18.00 — განცხადებები, 18.05 — კინომოყვარულის თვალით, 18.25 — საქალაქოთაშორისო დოკუმენტური ფილმი „შემოდგომა მთებში“ (ფერადი), 18.35 — ახალი საქალაქოთაშორისო სასწავლო წელი, 18.55 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის — „მეგობრობა გზად და ხიდად“, ლატვიელი კინემატოგრაფისტები, 20.00 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კონცერტი, 21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია — 1970 წელი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „მსახიობები და როლები“ — ე. ლოლაშვილი.

მეორე პროგრამა

17 სექტემბერი

პირველი პროგრამით

07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. კრეინი — ნაწყვეტები ბალეტ „ლაურენსიადან“, 10.00 — ეკონტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.20 — მუტუეი საორკესტრო პიესები, 12.00 — ლენინური გვარდიის ჯარისკაცები — ს. კიროვი, 12.30 — კონცერტი ბ. სვირიდოვის ნაწარმოებებიდან, 13.15 — ო. გორდელი — მუსიკა კინოფილმ „წარსული ზაფხულიდან“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მეწინავე სტატია, 17.15 — ბავშვებისათვის — კონცერტი-სუბარი ჯ. ენისკუ“, 18.10 — მდერის საქართველოს სახელმწიფო კაპელა, 18.45 — საორკესტრო ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — მხიარული ტალღაზე, 19.30 — კონცერტი, ა. ფრენდლიხის, ტ. დორონინას, ნ. რიბნიკოვის, ვ. ნიკულინის და ვ. ჩიმოდანოვის მონაწილეობით (მოსკოვიდან), 20.30 — ჩვენი ინვიტი ჩანაწერები — ნ. ცომაიას, ლ. ანდღულაძისა და ვ. ქაშაკაშვილის კონცერტი, 21.00 — ძალისპირული, 21.15 — მდერის ლ. გეგელია, 21.30 — ახალგაზრდობისათვის — „სამშობლო გენა მარტო ლამაზი მთვია?“, 23.30 — ჯ. ჩაიკოვსკი — ვარიაციები როკოკოს თემაზე.

თეატრი

16 სექტემბერი

ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — „ეარამანს ქალი მოჰყავს.

ს. ციმოძე



გარდაიცვალა ... ეროვნული ... ენციკლოპედიური ... ლის სსრ დამსახურებული ექიმი, სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, თბილისის სადეზინფექციო სადგურის ყოფილი მთავარი ექიმი სიმონ ლეონიდეს ძე ციმოძე.

ს. ციმოძე დაიბადა 1892 წელს ქ. ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. 1916 წელს წარჩინებით დამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ს. ციმოძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა გამოსვლებში ავარიზმის წინააღმდეგ. სწავლის დამთავრების დღიდან 61 წლის განმავლობაში უმწიკლოდ და თავდადებით ემსახურებოდა სახალხო ჯანმრთელობას ჯერ როგორც სამხედრო ექიმი და მაჩარეროლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი, ხოლო 1922 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ქალაქის სადეზინფექციო სადგურის მთავარი ექიმი. იყო ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის ფიზიკის მასწავლებელი, დიდი იყო მისი დამსახურება საშიში ინფექციების ლიკვიდაციის საქმეში. იყო ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი პირველი სანიტარული ექიმი-ეპიდემიოლოგი.

ს. ციმოძე ავტორია მრავალი მეცნიერული შრომისა, რომლებიც თავისი პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა საფეზინფექციო სამსახურის ორგანიზაციულ სრულყოფაში. მისი უშუალო ინიციატივით თბილისის სადეზინფექციო სასწასახური გადაექცა საკავშირო მასშტაბით საჩვენებელ ბაზად, სადაც კვალიფიკაციას იმაღლებენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის სადეზინფექციო საქმის სპეციალისტები. ს. ციმოძე დაჯილდოებული იყო ლენინის და „სამამრო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით, ხოლო 1969 წელს ეპიდემიათა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის სპატიო წოდება მიენიჭა.

ს. ციმოძე ავტორი მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, რამდენჯერმე იყო არჩეული რაიონული საბჭოების დეპუტატად.

უანგარო, სეტყვი ადამიანის, ღვაწლმოსილი მედიკოსის, თვალსაჩინო ორგანიზატორის სიმონ ციმოძის ძე ციმოძის ნათელი ხსოვნა მარად დაუცველი იქნება მისი აღზრდილების, კოლეგებისა და მეგობრების კოლში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება; საქალაქო სანეიდსადგური; რესპუბლიკის მეკრნიოლოგთა და ეპიდემიოლოგთა, ინფექციონისტთა საზოგადოებები; თბილისის სადეზინფექციო სადგური.

როცა სიფხიზლე მოდუნებულია!

ყურძნის ქურდები

მარნეული. (საკ. კორ.). თუმცა ჯერ მხოლოდ დილის 12 საათი იყო, მაგრამ უერთნით დატვირთული ავტომანქანების გრძელი რიგი უკვე იდგა ღვინის ქარხანასთან. ჯერს ელოდნენ. უყლარულებმა კარგი მოსავალი მოიწიეს და ხარობენ.

სასწორთან გაზ-53 მარკის მანქანა ჩამოდგა. კაბინიდან ოცდაცუთოოდე წლის კაცი გადმოხტა. — ნემი ვეფხისასაა, მიიღეთ, — უთხრა ჩამბარებელს.

მიმღებს ცოტა არ ეყოს, გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, გულში კი გაიფიქრა, კარგია, ამათაც დაიწყეს. აქამდე სულ მეურნეობებიდან მოდიოდა ყურძენი და ეს პირველი კაცი იყო, საკარმიდამო ნაკვეთიდან რომ აბარებდა. მიმღებმა შეატყო, ახალგაზრდა შეზარხოშებული იყო და პასპორტი მოსთხოვა. არ წამომიღიაო. არ ესიამოვნა. მაშინ საბჭოს ცნობა მიჩვენეო, ამაზეც რომ უარი მიიღო, ახლა კი დაიქეცა.

ამ ლაპარაკში რომ ეყრნენ, ქარხანაში მილიციის მეშაკები სერგო კალაბაძე, მიხეილ გორგაძეს და ალიფაბა ხუციანოვი გაჩხდნენ...

თურმე, ყულარის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტთა ბრიგადიერს სწორედ, აი ამ შეზარხოშებულ კაცს, მაგრამ ბინად-ოღლი ვალიევსა და საქსო ფლტმენიკის შარნეულის რაიონაყოფილების შოფერს რზა შამილოღლი დურსუნოვს წინასწარ პირი შეუკრავთ, მეურნეობის ზერიდან ყურძნით სავსე მანქანა გამოუტარებიათ, ახლა თავიანთი საველით აპირებდნენ ჩაბარებასა და ფულის მითვისებას. 685 მანეთად ღირებული ყურძენი წონით ორ ტონა და 50 კილოგრამი აღმოჩნდა.

ეიოლი გზის მაძიებელს ხიდი ჩაუტყდათ.

დამნაშაოვნენ პასუხისგებაში მისცეს. საქმეს ყოლარის მეურნეობაში გაარჩევენ გამსჯელი ღონისძიებაზე.

მეურნეობათა ხელმძღვანელებმა კი უფრო მტკიცედ უნდა ჩაკეტონ ხვრეტები გასაძრომ-გამოსაძრომი ხვრელები.

ს. ხარაზიშვილი.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ქომუნისტი | **ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

580096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 99-95-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბეჭდოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ფ 07892 სტ. „ეს ეს-ის“ გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14